



ვისი ინტერესების  
არაქალი მოქმედ  
საცხოვრებელი სახლი  
A3



საქართველოში  
კონსერვ MAN-ის  
ნარმომადგენლობა გაიხსნა  
A4



აიკიდოვა  
დაცემობილი ფეხბურთი  
A7

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

სამგზაბათი, 14 მარტი, 2006 წელი, №54 (1206)

ფასი 50 თეთრი

## საზოგადოება

კახეთში  
ხალისუფლება  
მედიანაგზადი ხდება

გასული წლის ივლისის თვეში მთავრობის კანცელარიის აპარატის უფროსმა პეტრე მამრამაძემ ყველა მინისტრს გააცნო პრეზიდენტის სააკაშვილის სიტყვიერი ბრძანება სახელმწიფო ორგანოებში გაზეთების გამოწვევის აკრძალვის შესახებ. ამის მიუხედავად, კახეთის თითოეული რაიონის ბიუჯეტში მედიამომსახურებისთვის სოლიდური თანხები გათვალისწინებული. ზოგიერთმა გამგებელმა გამგეობის შენობაში მედიასამუღებებზე გახსნა კანონი კი სხვა ითვალისწინებს.

A3

## თვალსაზრისი

ადგილობრივი  
თვითმმართველობა

რამდენიმე დღის წინ პრესაში გამოქვეყნდა კანონპროექტი "ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის შესახებ". განმარტებითი ბარათის თანახმად, კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე ადმინისტრაციული ზედამხედველობის საკითხის სამართლებრივი რეგლამენტაცია.

A3

## ეკონომიკა

თბილისისა და  
ბორჯომის  
ვაჭრობის  
მიტარე GRDC გახდა

თბილისის ცენტრალური და ბორჯომის ვაჭრობის 49-წლიანი ივარით გადაეცა კომპანია "თბილისის ცენტრალს", რომლის დამფუძნებელია საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია GRDC-ს და საინვესტიციო ჯგუფი GMC.

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაბი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენელით საფრანგეთში.

## ამინდი

	14/03	15/03
თბილისი	18 ☀	10 ☁
ტყიბული	18 ☀	17 ☁
სოხუმი	21 ☀	19 ☁
ბორჯომი	15 ☀	12 ☁
ოზი	8 ☀	8 ☁
ზუგდიდი	22 ☀	21 ☁
სამტრედი	20 ☀	21 ☁

**უცხოური ვალუტის  
ოფიციალური კურსი  
ლართან მიმართებაში**

აშშ დოლარი	1.8250
ევრო	2.1803
ბრიტანული სტერლინგი	3.1498
რუბლი	0.0652

აგაბი	A 2
კოლიტიკა	A 3
სამართალი	A 4
სპორტი	A 5
ტანდარი	A 6
ტანდარი	A 7
სხვადასხვა	A 8

## მორალური ნაბიჯი პასუხისმგებლობისკენ

ინგა ალაიძე

შს-ს მაღალჩინოსანთა მიერ გუშინ გადაგებული მორალური ნაბიჯი, მით უმეტეს, იმ სიტუაციაში, როგორც, საზოგადოებაში არსებული განწყობისა და ოპოზიციის მხრიდან ზეწოლის ფონზე, შინაგან საქმეთა სამინისტრო და მისი ხელმძღვანელობა იმყოფება, სწორედ რომ, დროული გახლდათ.

სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით აქტიურად გამოხატულ საზოგადოებრივ პროტესტს უკვე რამდენიმე საჯარო სიტყვიერი განცხადებით, მკვრამ მაინც შესრულებულია - დათა ახალია შს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარეა, ვასილ სანოძე შს-ს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსი, დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი თანამშენავე ოლეგ მელნიკოვიც.

ბაზრძალაბა A6 ბავრძა



საზოგადოების მოთხოვნა შესრულებულია.

## სახელმწიფო ბიუჯეტის ექსპერტიზა

ინგა ჩაჩუა

2005 წლის ბიუჯეტის შემოსავლების გადაჭარბებით შესრულების მოუხედავად, ამ პროცესში პრობლემები კვლავაც არსებობს და ისინი წლებიდან წლებამდე იქნება, - მიაჩნიათ ექსპერტებს. ხელისუფლება თავისი მიღწევებით კვლავ კმაყოფილია და "მდგრადი და ლიბერალური ეკონომიკის მშენებლობას" განაგრძობს. როგორც იყო გასული წლის სახელმწიფო ბიუჯეტის რეალური სახე? ამის გასარკვევად გაზეთმა "24 საათმა" და "ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა" მრგვალი მაგიდა მოაწყო.

ბაზრძალაბა A4 ბავრძა



მრგვალი მაგიდა "24 საათის" რედაქციაში.

## ნინის დაბრუნება ბერმანულ ფილმში

ნინი მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთის თამაში არ იცოდა და ეს ფილმის "ველური ბიჭები 3" კასტინგში მონაწილეობისთვის უპირველესი ნიშანია იყო, თავისი მონაცემები "შპორტ ბილდის" რედაქციაში მაინც გაგზავნა. ნინის იმედი ვოკალური მონაცემები და ფილმში მონაწილეობის დიდი სურვილი იყო. "ველური ბიჭები" გერმანულენოვან ქვეყნებში ერთ-ერთ წარმატებულ საბავშვო კინოფილმად ითვლება. 2 მარტიდან ფილმის მე-3 ნაწილის ჩვენება გერმანიაში სრული ანშლაგით მიმდინარეობს. კინომაცურებელთა რიცხვმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სენსაციური შედეგით: კინოსტარტიდან დღემდე - მილიონი მაყურებელი. ფილმი გერმანულ კინოჩარტში პირველ ადგილზეა.

ბაზრძალაბა A8 ბავრძა



კადრი ფილმიდან. მარჯვნივ ნინი ნიკლაური.

## ვინ აწყობს არაულობას ახალქალაქში

პრეზიდენტის რწმუნებული ხელს  
ოპოზიციისკენაც იშვებს

სამცხე-ჯავახეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საბჭო, რომელიც რამდენიმე დღის წინ ახალქალაქში გამართული მიტინგის ინიციატორი იყო, უახლოეს დღეებში საგანგებო სხდომის გამართვას გეგმავს, სადაც ამ ორგანიზაციის წევრები შემდგომი მოქმედების გეგმას შემოწმებენ. როგორც საბჭოს წევრები აცხადებენ, ჯავახეთის მოსახლეობა საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლას უფრო აქტიურად გააგრძელებს. "გამორიცხული არ არის, უახლოეს მომავალში აქციები გამართოთ... პირველ რიგში, სახელმწიფო საქმიანობის სომხურ ენაზე წარმოებასა და რეგიონში სომხური მოსახლეობის უსაფრთხოების გარანტიებს ვითხოვთ," - აცხადებენ საბჭოს წევრები. სამცხე-ჯავახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებული დარწმუნებულია, რომ ახალქალაქში სიტუაციის დაძაბვას რუსეთი ცდილობს. ვოგა ბანიძე ახალქალაქურ მიტინგებსა და ქართულ ოპოზიციას მორისაც ბევრ საერთოს ხედავს.

სოფო ბაქია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის დარბევის ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრულია. როგორც სამცხე-ჯავახეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საბჭოს წევრები აცხადებენ, უნივერსიტეტის დარბევა მათ გეგმებში არ შედიოდა და მათ წინააღმდეგ მიმართული პროუკაცია იყო.

"ჩემი გათვლებით, აქციაზე აგენტები იყვნენ, რომლებმაც მოსახლეობას უნივერსიტეტის ორბივსკენ მიუწოდეს. ჩვენ ეს გეგმაში არ გვექონია," - განაცხადა "24 საათთან" საუბარში საბჭოს წევრმა ხაჩატურ სტეფანიანმა. შეგახსენებთ, რომ 11 მარტს ახალქალაქის გამგეობასთან შეკრებულმა მოსახლეობამ ნალკაში მომხდარი ინციდენტი გააპროტესტა, რომელსაც 23 წლის გეორგი გეგორჯიანის სიცოცხლე შეწირა. მიტინგი უნივერსიტეტის შენობის დარბევიდან დასრულდა. მიტინგის ორგანიზატორი სამცხე-ჯავახეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საბჭო გახლდათ, რომელიც ამ რეგიონში მოღვაწე სხვადასხვა პოლიტიკურ და არასამთავრობო ორგანიზაციებს აერთიანებს. თსუ-ს ახალქალაქის ფილიალის შენობაში შეჭრისა და სასამართლოს შენობის დარბევის შემდეგ აქციის მონაწილეებმა კუმურდო-ახალქალაქის ეპარქიაში შეჭრა სცადეს. ისინი შენობის შემოღობვას ითხოვდნენ, რადგან, მათი თქმით, ეპარქიის შენობაში ცეცხლასროლი იარაღი იყო გადაამალული.

ბაზრძალაბა A2 ბავრძა

## აქიმაგი ქარდაქარ ივლიან

თამარ მისურაძე

"საქართველოში გრიპის ვირუსის გავრცელების პიკი გავლელია. 15 მარტიდან გრიპის გავრცელების დინამიკა შემცირდება, თვის ბოლოს კი ამ მხრივ ქვეყანაში სტაბილური სიტუაცია იქნება," - ასეთ დამაიმედებელ ინფორმაციას ავრცელებდნენ გუშინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.

ამის მიუხედავად აღმოჩნდა, რომ 50-ე საშუალო სკოლაში, სადაც ბოლო სამი დღის განმავლობაში სადენინფექციო სამუშაოებს ატარებდნენ, გუშინ არც ერთი მოსწავლე არ მისულა. ვერც განათლების სამინისტროს განცხადებამ "გაჭრა" იმის შესახებ, რომ 13 მარტს სკოლაში (მათ შორის 50-ე) სწავლის პროცესი ჩვეულებრივ გაგრძელდებოდა. აღმოჩნდა, რომ 50-ე საშუალო სკოლაში მხოლოდ დირექტორი, მასწავლებლები და დირექტორის შვილები მივიდნენ, რომლებიც ამ სკოლის მოსწავლეები არიან.

ბაზრძალაბა A2 ბავრძა

## ახალი დაპირისპირება ქველი საპროტესტის ბარჯაში

პარლამენტის ბიუროს გუშინდელი სხდომის გადაწყვეტილებით, 14-17 მარტის პლენარული სხდომების დღის წესრიგში შევიდა ოპოზიციის მიერ ინიცირებული ორი კანონპროექტი, რომელთა განხილვაც, სავარაუდოდ, ხმაურით ჩაივლის. საკონტროლო-სალარო აპარატებისა და ლუსტრაციის თემატიკას არც აქამდე აკლდა დეპუტატების "ყურადღება", მაგრამ პლენარული სხდომის "ეფექტი" სულ სხვაა. ოპოზიციას კარგად ესმის, რომ მოწინავეების შანსი არც ერთ კანონპროექტს არა აქვს, მაგრამ მათი განხილვით ის არაფერს კარგავს. მეტიც: სალარო აპარატების გამოყენებაზე უარის თქმა და "კაბეჯე" აგენტურის გამოშვებების მოთხოვნა მისთვის პოლიტიკური ქულების დაწერის კარგი საშუალებაა.

გიორგი ასანიძე

პოლიტიკურად რაოდენ წამების უკან არ უნდა იდოს, საპარლამენტო უმრავლესობა საკონტროლო სალარო აპარატების საკითხში უკან დახევას არ აპირებს. მით უმეტეს, პრემიერ-მინისტრის იმ განცხადების შემდეგ, რომ ხელისუფლება ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს. "დემოკრატიული ფრონტის" მიერ მომზადებული კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე გატანამდე, მას კიდევ ერთხელ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელაღმდგომი სხდომაზე განიხილება, რომელიც "ალყის" პირობებში ჩატარდება: საკომიტეტო მოსმენის პარალელურად, 15 მარტს პარლამენტის წინ ოპოზიციის მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქცია გაიმართება.

ბაზრძალაბა A2 ბავრძა















# საქართველოში კონსერვ MAN-ის ნარმომადგენლობა გაიხსნა

## სალონა დახატა

საქართველოში ოფიციალურად გაიხსნა მსოფლიოს უმსხვილესი მანქანათმშენებელი კონცერნის MAN-ის ნარმომადგენლობა. MAN-ის ოფიციალური ნარმომადგენლობა კომპანია "თეგეტა მოტორსი". პრეზენტაცია "თიბისი ბანკის" ოფისში გაიმართა და გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით "თიბისი ბანკის", სალიზინგო კომპანია "თიბისი ლიზინგსა" და "თეგეტა მოტორსი" შორის. მემორანდუმში გულისხმობს MAN-ის ტექნიკის შექმნას "თიბისი ბანკის" და "თიბისი ლიზინგის" დაფინანსებით.

"თიბისი ბანკი" MAN-ის ტექნიკის შექმნას თავის კლიენტებს 100 პროცენტით დაუფინანსებს. სხვა შემთხვევებში ბანკი MAN-ის ტექნიკის ღირებულების 80 პროცენტის დაფინანსებას აიღებს საკუთარ თავზე. ტექნიკის შექმნა შესაძლებელია როგორც საბანკო სესხის, ისე ლიზინგის საშუალებით - სალიზინგო მომსახურებას კლიენტებს კომპანია "თიბისი ლიზინგს" გაუწევს.

"თეგეტა მოტორსი" და "თიბისი ბანკის" ეს ერთობლივი მომ-



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერა.

სახურება განკუთვნილია სამშენებლო, სატრანსპორტო, კომუნალური და ყველა იმ კომპანიებისთვის, ვისაც სატვირთო და სხვა

დიდი ზომის სატრანსპორტო საშუალებები ესაჭიროება. დაფინანსების ვადა 3-დან 5 წლამდეა. MAN-ის ტექნიკის მყიდველს სხვა დამატებითი გირაო არ მოეთხოვება - სესხის უზრუნველყოფა შეძენილი ტექნიკით ხდება. სესხის შესახებ განაცხადის დამუშავების

ავად 2-დან 7 დღემდე. პოტენციური მყიდველი, მას შემდეგ, რაც MAN-ის სასურველ სატრანსპორტო საშუალებას შეარჩევს, მიმართავს MAN-ის ნარმომადგენელს - "თეგეტა მოტორსს" და, ამავდროულად, აკეთებს დაფინანსების შესახებ განაცხადს "თიბისი ბანკში" ან სალიზინგო კომპანია "თიბისი ლიზინგში". სალიზინგო კომპანია შექმნილი ტექნიკის ტრანსპორტირებასა და განაბუნებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას თავის თავზე იღებს.

"ეს პროექტი "თიბისი ბანკისათვის" ნინ გადადგმული ნაბიჯია. MAN-თან თანამშრომლობა ჩვენთვის ძალზე სასიხარულო ფაქტია. მოგესხენებათ, ამჟამად საქართველოში მშენებლობების ბუმი და ჩვენ გვიანდა, ამ პროექტით ხელი შეუწევს მშენებლობებს." - აცხადებს "თიბისი ბანკის" დირექტორი ვახტანგ ბუჭიერიძე.

"თიბისი ლიზინგის" დირექტორი თეა ლორთქიფანიძე ამბობს, რომ "ამ პროექტის მეშვეობით კლიენტები მარტივად გზით, ინვესტიციების გარეშე შეძენენ ტექნიკას და "თიბისი ლიზინგი" მყიდველებს შეძენილი ტექნიკასთან დაკავშირებულ ყველა საორგანიზაციო საკითხს მუდგავარებს."

# თბილისისა და ზორჯომის ვაზოლების მეიტარა GRDC ბანკი

თბილისის ცენტრალური და ზორჯომის ვაზოების 49-წლიანი იჯარით გადაცემა კომპანია "თიბისი ცენტრალს", რომლის დამფუძნებელია საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია GRDC-ს და საინვესტიციო ჯგუფი GMC.

შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ეზუგბაძემ ტენდერში მონაწილე სხვა კომპანიები არ დაასახელა. მისი თქმით, ტენდერში მონაწილე რამდენიმე კომპანიიდან მხოლოდ "თბილისი ცენტრალმა" დააკმაყოფილა ტენდერის პირობები.

ტენდერში გამარჯვებული კომპანია საიჯარო ობიექტზე 2 წლის განმავლობაში 10 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიციას განახორციელებს. კომპენსაციებით უზრუნველყოფს ობიექტში განსახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირებს, შეიხარბუნებს სამუშაო ადგილებს. შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია სექტემბერში დაიწყება.

აღნიშნული კომპანია თბილისში რამდენიმე მსხვილ პროექტს ახორციელებს.

რკინიგზის ინფორმაციით, კონკურსში გამარჯვებულმა იჯარით გადაეცემა თბილისის ცენტრ-

ალური ვაზოებისა და ზორჯომის ვაზოების შენობები. საერთო ფართობი შეადგენს 54 858.3 კვ/მ, შენობის 37 719 კვ/მ.

საკონკურსო პირობებით, შენობა-ნაგებობების სახეობის საიჯარო ქირა მინის ნაკვეთთან ერთად წელიწადში შეადგენს 490 000 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში. საიჯარო ქირა გადაიხდება ყოველთვიურად, ამასთან პირველი 2 წლის განმავლობაში მოიჯარე გადაიხდის საიჯარო ქირის 50%-ს, ხოლო შემდგომ 3 წლის განმავლობაში დარჩენილს ავს საიჯარო ქირის გადახდასთან

დაკავშირებით ნარმოქმნილ სხვადასხვა სახის პრობლემებს. "ბანკი" თანხა შეადგენს 100 000 ლარს. შენობის 3290 კვ/მ ფართობზეა შპს "საქართველოს რკინიგზის" საარგენტო ოფისი. ზედმეტ მოიჯარე საიჯარო ქირას და სხვა გადასახდელებს არ გადაიხდის.

მოიჯარე უნდა უზრუნველყოს ცენტრალური ვაზოების მშენების გამოთვალისუფლება მასში რეკონსტრუქციის იძულებით გადაადგილებული პირებისათვის შესაბამისი კომპენსაციების გაცემით, რომელიც არ შედის ინვესტიციის მოცულობაში. კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს მოიჯარე აღნიშნულ პირობებთან მოლაპარაკებით.

მოიჯარე ვალდებულია შექმნას ყველა საჭირო პირობა საბუნებრო სადღურის ნორმატივით უზრუნველყოფის მიზნით. მოიჯარეს უფლება არ აქვს სხვა დანიშნულებით გამოიყენოს ვაზოების ნაგებობა და მასთან მისაბუნებლო ინფრასტრუქტურა და ამით ხელი შეუშალოს მგზავრთა მომსახურებაში.

მოიჯარე 6 თვეში ერთხელ, შპს "საქართველოს რკინიგზის" უნდა წარუდგინოს ანგარიში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

**პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

**ავს მოიჯარე აღნიშნულ პირობებთან მოლაპარაკებით.**

**მოიჯარე ვალდებულია შექმნას ყველა საჭირო პირობა საბუნებრო სადღურის ნორმატივით უზრუნველყოფის მიზნით.**

**მოიჯარეს უფლება არ აქვს სხვა დანიშნულებით გამოიყენოს ვაზოების ნაგებობა და მასთან მისაბუნებლო ინფრასტრუქტურა და ამით ხელი შეუშალოს მგზავრთა მომსახურებაში.**

**მოიჯარე 6 თვეში ერთხელ, შპს "საქართველოს რკინიგზის" უნდა წარუდგინოს ანგარიში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.**

# სახელმწიფო ბიუჯეტის ექსპერტიზა

ახლა თანხები შედარებით მეტია და შეუჩველები არიან. კიდევ ერთი ფინანსთა სამინისტროს ეს თანხები რომ გამოეშვა, ინფლაცია ძალიან დიდი იქნებოდა. მაგალითად, დეკემბერში თანხების ხარჯვის რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა. ასეთი ხარჯვა არც ერთ თვეში არ გვექნია.

**თინა ხიდაშელი:** შარშან ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა ოთხჯერ მოხდა. რატომ არ ხდება რაიმე პროცენტით მაინც ამ ზრდის დეფიციტში ასახვა? რატომ ითხოვდა ისტრუქტურულ ფინანსთა სამინისტრო პარლამენტისგან კვარტალურ ანგარიშებში ფონდებთან დაკავშირებული ცვლილებების შეტანას? ყველა კვარტლის ბოლოს ვდარდებით იმაზე, რომ მოხდა გადახარჯვა და აუცილებელია ფონდების გაზრდა და ა.შ. თუ სამართლებრივად ხარჯვები არ არსებობს, მაშინ რა პრობლემაა - გამოსცემს ის კაცია განკარგულებას, შემდეგ კი მას ფინანსთა სამინისტრო გაასწორებს. შემდეგ რატომ ხდება ხოლმე პარლამენტში ამის საბიუჯეტო კანონში ასახვის საჭიროება? ამასთან, როგორ ვიღებთ პარლამენტის გარეშე გადაწყვეტილებას, მით უმეტეს, როცა ძალიან დიდ თანხებზეა საუბარი? (წელს უკვე 84 მილიონზე საუბრობთ). როგორ იღებს სამინისტრო ასე გადაწყვეტილებას, პარლამენტის მიერ დამტკიცებულ პარამეტრებში 79-მილიონიანი კორექტირება მოახდინოს?

რატომ ასწორებს დეკემბრის ბოლოს ყოველ თეთრს? ამის არავითარი ფინანსური ვალდებულება არ არსებობს, მაგრამ ეს მკაცრ გააკეთეთ, რადგან ის, რაც კვარტალურ ანგარიშებში გინერიათ, სწორია.

**ირაკლი კოჯანაძე:** იმ თემას, რომ ბიუჯეტი დეფიციტური იყოს, პრობლემატურად ვერ აღვიქვამ (დეფიციტი 344 მილიონი ლარი იყო). საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომელსაც შეიძლება პრეფიციტულ ბიუჯეტზე ჰქონდეს პრეტენზია. 2006 და 2005 წლის ბიუჯეტს თუ შევადარებთ, დაფინანსებით, რომ დეფიციტის მაჩვენებელი მცირდება. ფინანსთა სამინისტროს პრეროგატივაა, თუ როგორ მიუდგება ამ საკითხს.

რაც შეეხება ფონდებს, ავიღოთ შემთხვევა, როცა თანხა ფონდებიდან კულტურის სამინისტროში გადავიდა. ფონდის დაფინანსება იმ ასიგნებების მიგნით მოხდა, რომელიც ფინანსთა სამინისტროს გააჩნია. ასიგნებების მიგნით 10 პროცენტის ფარგლებში მას ამის უფლება აქვს.

ბოლო გასწორებისას რიგი სამინისტროების მისამართით ცვლილებები იყო. ესეც, გარკვეულწილად, დაგეგმარების პრობლემაა. როგორც ჩანს, წლის განმავლობაში პრიორიტეტებს და მიმართულებებს ბენეფიციარამდე ბოლომდე ვერ ვსაზღვრავთ. ყველაფერს უფრო მეტი დაგეგმვა, პროგნოზირება, ანალიზი სჭირდება.

**თინა ხიდაშელი:** არ მგონია, ჩვენს ბიუჯეტს მთლად დაგეგმვის და პროგნოზირების პრობლემა ჰქონდეს. მაგალითად, ბიუჯეტში შს-სთვის კრიმინალისტიკური ლაბორატორიის ყიდვისთვის თანხები იყო ჩადებული. ეს ძალიან ძვირად ღირებული, თუმცა ძალიან საჭირო შენაძენი იყო. თუმცა დაავიწყდა იმ ლაბორატორიას განაბუება დასჭირდებოდა. შედეგად, პრეზიდენტმა თავისი სარეზერვო ფონდიდან ლაბორატორიის განაბუებისთვის 225 ათასი ლარი გამოყო. თბილისის საკრებულოშიც მოხდა ანალოგიური შემთხვევა იმ-თან დაკავშირებით - სანავიგის ფული დაავიწყდათ და ფული სოციალურ პროგრამას მოაჭრეს. აქ უკვე სხვა ტიპის პრობლემა გვაქვს. ეს მხოლოდ დაგეგმვის და პროგნოზირების პრობლემაა აღარ არის.

**შვეჯაბოი დევეანდელი შეხვედრა. რა ტენდენციებზე შეიძლება ვისაუბროთ 2005 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით? გასული წლის ბიუჯეტში პოლიტიკაში თუ იყო რაიმე საგანგაშო პრეცედენტი, რომელმაც შეიძლება მიმდინარე წლის ბიუჯეტზე იქონიოს გავლენა?**

**თინა ხიდაშელი:** მე ისევე ფონდებს შევხები. ტენდენცია ძალიან სახიფათო იყო. ის ცვლილებები, რომლებიც პარლამენტმა საბიუჯეტო სისტემის შესახებ კანონში და ბიუჯეტის ფონდებთან დაკავშირებულ ნაწილში შეიტანა, იყო დადასტურება იმისა, რომ ჩვენ ყველანი მართლვე ვართ. ანუ პარლამენტმა იმიტომ შეცვალა კანონი და დააკვირდა ფრაზოლოგია "რაც გინდა და როცა გინდა", რომ არსებობდა პრობლემა, კანონდარღვევა... ეს იყო კაპიტულაცია, კლასიკური გაგებით. ეს პარლამენტზე მთლად დადებითად არ მეტყველებს.

**ირაკლი კოჯანაძე:** მიუხედავად იმისა, რომ ეს ცვლილებები გარკვეულ კითხვებს ბადებს, მაინც პოზიტიური მოვლენა იყო. შემოსავლები იმაზე მეტი იყო, ვიდრე გელოდით. ამას გარდა, ქვეყანას მისი მიმდინარე ვალდებულებების დასაფარად გარკვეული გარდაამავალი ნაშთები დარჩა. სასურველია, ამ თანხების ბენეფიციარამდე ზუსტად მისატანად მეტი დაგეგმარება



და სიზუსტე ყოფილიყო. ჩემი აზრით, იმის გამო, რომ ქვეყანა ტრანსფორმაციას განიცდის, ასეთ პროცესებს გვერდს ვერ აუღლის. თუმცა ეს მაინც კანონის ფარგლებში მოქცეული პროცესია.

**ლამა გოცირიძე:** საბიუჯეტო პროცესი იხვეწება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანა საშუალოდგანიან დაგეგმვაზე გადადის. ეს პროცესი შარშან დავინწყეთ. წელს გვინდა, რომ პროცესი ინსტიტუციონალიზირდეს და გავხვედეთ.

**დავით ნარმაია:** 2006 წელს, ალბათ, გასული წლის მსგავსად სურათი გვექნება. ანუ ხაზინაში კვლავ დარჩება დაუხარჯავი აუქსიონალური სახურავი. ამ გზაზე, ეს ტენდენცია უნდა იქონიოს შემქმნელი დაგეგმარის. ამ ქაზრ შემოსავლებს ე.წ. "ზინების შიში" იწვევს. როდესაც ბიზნესი ხელისუფლებასთან ზის, შიშზე არ საუბრობს. მაგრამ ჩვენთან საუბრებში აღნიშნავენ, რომ დამნიშნებელი არიან და რაიმე ნაბიჯის გადადგმაზე საკითხს ათავსებენ. ეს არა მარტო გადასახადების და მოსაკრებლების გადახდას, არამედ სხვა საკითხებს შეეხება. მაგალითად, ხელისუფლებისათვის მათ ურთიერთობას.

**კახა იმერლიშვილი:** საქმიან მნიშვნელოვანი ტენდენცია იყო ის, რომ შემოსავლების არნახული მწვენივლი დაფიქსირდა. რა თქმა შეიძლება, რომ ქვეყანაში შემოსავლები აღრცელდება, ბიუჯეტზე გადასახადებს იღებს და პრადიკალური ეკონომიკის სინთეზზე გაერთიანდება. თუ როგორ განვითარდებიან და საით წავალთ, კვლავ არ არის მიუღებელი. საშუალოდგანიან დაგეგმვას რაც შეეხება, ამ კუთხით ფინანსთა სამინისტრო ძალიან აიაუჯექტიურად მუშაობს. ერთი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, არაფერი გაკეთებულა, გარდა იმისა, რომ დღი დოკუმენტი, გაიწერა სამ ბიუჯეტზე და ჩაიღო 2006 წლის ბიუჯეტი. ვერ იტყვი, რომ ეს ძალიან უხესტი ციფრებია. მასში რადიკალური ცვლილებები ჩაიღო, რომლებიც სხვადასხვა სამინისტროებმა ამ წლის წლის განმავლობაში უნდა შეასრულონ. მაგრამ ამ ინდიკატორების ჩაღებამ გამოიწვია ის, რაზეც თინა ხიდაშელიც საუბრობდა - ბიუჯეტში დეტალიზაცია გაქრა.

რაც შეეხება ბიუჯეტების გადასახდელებს, არ ხდება ზუსტი დაგეგმვა და ითითოეულ სამინისტროს ამ კუთხით მუშაობა ძალიან უჭირს. ასე რომ, ტენდენციები წინა წლებში ტენდენციებისგან დიდა არ განსხვავდება. ჩემი აზრით, საბიუჯეტო დეფიციტი მსგავსი პრობლემები 2006 წელსაც იქნება.

## მოკლად

### გილური გაზსადენის გახრმომოსთვის მიყიდვას არ გამოიციხავს

საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა "რიტორიკისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოს მაკროეკონომიკური გაზსადენის მიყიდვა რუსული კომპანია "გაზპრომისთვის" შესაძლებელია, თუ კონტრაქტის ღირებულება და პირობები მისაღები იქნება. "მიდით, წარმოვიდგინოთ, რომ "გაზპრომი" საკმაოდ მაღალ ფასს გვთავაზობს გაზსადენში, ისინი მასზე სარემონტო სამუშაოებს დანიშნავენ და აქეთ სურვილი, რომ მომავალ კონტრაქტში ისეთი პირობები ჩაიდონ, რომლებიც ჩვენთვის მისაღები იქნება. რატომ უნდა ვუთხროთ "გაზპრომს" გადაჭრით უარი?" - აცხადებს ნიკა გილაური. **მედიანოუსი**

### ინვესტიციური პროექტების განხორციელების მიზნით 47 მილიონ დოლარი გადამხარჯდა

**თბილისი.** ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 2006 წლის ინვესტიციური პროექტების განხორციელების მიზნით 47 მილიონ აშშ დოლარი, 3 531 ათასი ევრო და 20 ათასი შვეიცარიული ფრანკი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 4135 ათასი აშშ დოლარი შეიძინა, ხოლო 14548 ათასი აშშ დოლარი გაყიდა. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს ეროვნული ბანკიდან აცნობეს, 2006 წლის თებერვალში, ინვესტიციური პროექტების განხორციელების მიზნით 47 მილიონ აშშ დოლარი გაიყიდა, ლარის ნომინალური ვალუტით კურსი ყველა ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნის ვალუტებთან მიმართებაში დაეცა. საანალიზო პერიოდში, აშშ დოლარის მიმართ ლარის ნომინალური ვალუტით კურსი თვის საშუალო მონაცემებით 0,79%-ით (1,803-დან 1,816-მდე), ხოლო თვის ბოლო მონაცემებით 1 პროცენტით პუნქტით (1,813-დან 1,830-მდე) დაეცა. ლარის ნომინალურმა ვალუტებმა გაცილებით კურსმა კი (თვის საშუალო მონაცემებით) 0,8%-ით დაინია. თებერვალში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2580 ათასი აშშ დოლარი იყიდა და 5663 ათასი აშშ დოლარი გაყიდა. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ორმხრივი ინტენსივით კი ლარის ვალუტით კურსის დაბლადაყვანილება რეგულაციების სახითაა დაგეგმილი. ბანკინტერ სემინტზე ვალუტით კურსის მკვეთრი ცვლილებები არ დაფიქსირებულა (თვის საშუალო მონაცემებით, 1 აშშ დოლარი/1,812-1,818 ლარი).

### ლარის ვალუტით კურსი დოლართან მიმართებაში 1,8250 ნიშნულამდე გამოყარდა

**თბილისი.** საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური ვალუტით კურსი 14 მარტიდან 1,8250 ნიშნულამდე დააფიქსირა. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 13 მარტს მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა (ერთმა გამყიდველის და სამმა მყიდველის სტატუსით). დიდი სამი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობა 500 000 აშშ დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაზე საქართველოს ეროვნულ ბანკს მონაწილეობა არ მიუღია. საბირჟო ვაჭრობა დანაკარგით კურსით: 1 აშშ დოლარი/1,8260 ლარი. უცხოური ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველი მოთხოვნა 3200 000 აშშ დოლარი, ხოლო მიწოდება 1 500 000 აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის ინტენსივით ვაჭრობის მოთხოვნა-მიწოდება დაბალანდებულ დღედაც კურსით - 1 აშშ დოლარი/1,8250 ლარი. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 2006 წლის 13 მარტს დაიდო 6 000 ევროს მოცულობის ერთი გარიგება, რომელშიც მონაწილეობდა ორი კომერციული ბანკი.

### "ატკინსი და პარტნიორები" რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის შტოვნივალს შეისწავლის

**თბილისი.** ბრიტანული საკონსულტაციო კომპანია "ატკინსი და პარტნიორები" რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის სამრეწველო-საინჟინრო პოტენციალს შეისწავლის და ქარხნის ხელშეწყობის საკითხს რეკომენდაციებს გადასცემს. მეტალურგიული ქარხნის დირექტორის რიზინოზის თქმით, "ატკინსი" მსგავსი საბრუნველო კომპლექსების მართვისა და რესტრუქტურისთვის დარგში მათთვის უფრო კომპანიაა და მათი ხელშეწყობა და წინადადებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქარხნის აღდგენისა და შემდგომი განვითარების საქმეში.

კომპანია "ატკინსი" საკონსულტაციო კომპანიაა და მისი საქმიანობა მოიცავს რამდენიმე სფეროს: სამრეწველო კომპლექსები, ატკინსის მენეჯმენტი, კოლოგია, მარკეტინგ, ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაციები და სხვა. იგი მსოფლიოში მეთვრამეტე ადგილზე სიდდის მხრივ და ექვსი წელი დასრულებს ინვესტიციის საინჟინრო განხორციელების არსებული საკონსულტაციო ფორმების აუდიტს. "ატკინსი" მსოფლიოში მესამე უმსხვილესი ფორმა საინჟინრო არქიტექტურის მიმართულებით. 2005 წლის 12 ოქტომბერს "რუსთაველის მეტალურგიული კომპანია" აუქციონზე კომპანია "ენერჯია და ინდუსტრია კომპლექსმა" შეიძინა.

### აზერბაიჯანი და საქართველო ენერგოდავალიანების საკითხზე ვერ თანხმდებიან

**ბაქო.** აზერბაიჯანთან საქართველომ 1998 წელს იმპორტირებულ ელექტროენერჯიაზე არსებული დავალიანების დაფარვის საკითხი ეჭვის ქვეშ დატოვა. - განაცხადა ბაქოში გამართულ პრესკონფერენციაზე სს "აზერენერჯის" ვიცე-პრეზიდენტმა მარულ ასკეროვმა. აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, როგორც ასკეროვმა აღნიშნა, პრობლემა ისაა, რომ სხვადასხვა დროს საქართველოში ენერჯის ტემის ობიექტები ამერიკული და რუსული კომპანიების მმართველობაში გადადიოდა, დღეს კი მათ ისეთი სამართალმემკვიდრე არ ჰყავთ, ვისგანაც დავალიანების დაფარვის მოთხოვნა შესაძლებელია. "როცა ჩვენ საქართველოს სახელმწიფოს მიმართავთ, ისინი აცხადებენ, რომ აღნიშნულ საკითხს შეისწავლიან და ვაღს გაისტუმრებენ", - განაცხადა ასკეროვმა. მისი თქმით, რაც შეეხება საქართველოსთვის ბოლო ენერჯიკონტრასტის დროს დამატებით მიწოდებული 5 მილიონი კვტ/სთ ელექტროენერჯიის საფასურს, საქართველო ფულს სახით გადაიხდის.

### თბილისის მოქალაქეების გაჩვენული ნაწილი ბუნებრივ გაზზე შედგაათებით ისარგებლებს

თბილისი. კომუნალურ მომსახურებაზე შედგაათებით მოსარგებლო თბილისის მოქალაქეები ბუნებრივ გაზზე გაუჭირებს მიმდინარე შედეგს მიიღებენ. ამის შესახებ დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარემ, ზაზა ზეგაშვილმა ორმაშობის გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ზეგაშვილის თქმით, "გაზსადენის" გაკონსტრუქციის მიზნით გადასვლის შედეგად, საზოგადოებას გაგრძელდა დეზინფორმაცია, ბუნებრივ გაზზე გაუჭირებით სარგებლობის გაუშვების შესახებ, რაც საბოლოოდ არ შეესაბამება. "თბილისის საკრებულო, მთავრობა და მერია არმზუნდებიან ამ ადამიანებს, რომლებიც აღნიშნული შედგაათები ვრცელდებოდა, რომ გაუჭირებენ წელს და მომავალ წელსაც შენარჩუნებული იქნება", - განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ.

კომუნალურ მომსახურებაზე შედგაათებით დღევანდელი მოსახლეობის 19 კატეგორიის სარგებლობს. ესენი არიან - მერო მსოფლიო ომის მონაწილეები, ინვალიდები და ომში დაღუპულები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულები, უზრუნველყოფილები, მათ ოჯახების ცხოვრებით პენსიონერები და შრომისუუნარო ადამიანები, პერსონალური და მარტოხელა პენსიონერები, დადამაძირით ოჯახი და ინვალიდი ბავშვები, მარტოხელა დედები, მრავალშვილიანი და მრავალშვილიანი ოჯახები, ფსიქონალების დარღობა მომუშავე პირები, თბილისის საპატრიარქოს მოქალაქეები და სხვ. ბუნებრივ გაზზე შედგაათების მოცულობა 20-დან 40 კუბურ მეტრამდე განისაზღვრება. გაუჭირებისათვის 3 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

### თბილისის მეტროპოლიტენში მოდერნიზებული ოთხვაგონიანი შემადგენლობა იმპორტავს

თბილისის მეტროპოლიტენი 14 მარტიდან მოსახლეობას შედგენილებით მოემსახურება. რამდენიმე დღის წინ დასრულდა მეოთხე ვაგონის მოდერნიზაცია, რომელიც გასული წლის შემოდგომათი ექსპლუატაციისას გასულ მოდერნიზებულ სამვაგონიან მატარებლებს ჩაემატა. ახალი შემადგენლობა მეტროსადგურების - ვარკეთილი-ახმეტელის ხაზზე იმპორტავს. წლის ბოლომდე, ადგენილია 23 ვაგონის განახლება და მეტროსადგურების - თბილისის მოდერნიზაცია, ვაგონების, ისინი, ნერევილი - შეემატება მეტროსადგურებისა და ვაგონების ექსპლუატაციის მიზნით. თბილისის საპატრიარქოს მოქალაქეები და სხვ. ბუნებრივ გაზზე შედგაათების მოცულობა 20-დან 40 კუბურ მეტრამდე განისაზღვრება. გაუჭირებისათვის 3 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

### აჭარაში 21 ტურისტული ობიექტი გაიყიდა

ობიექტები "სოლე როუდ ჯგუფმა" 4 მილიონ აშშ დოლარად იყიდა. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს პრეზიდენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის კობა თედორაძის ცნობით, ხელშეკრულების თანახმად, კომპანია 17,5 მილიონ აშშ დოლარის ინვესტიციის განახორციელებს. ამ თანხაში შედის ობიექტების სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულება და იქ მცხოვრებ დეველოპერ კომპანიათაგან. თედორაძის ინფორმაციით, ციხისძირში, ბათუმში, მანჩიჯურსა და ქობულეთში გაყიდულ სამართლებრივ საკითხებს და სასტუმრო კომპლექსების აშენება 2000-დე დეველოპერ ცხოვრობს. "სოლე როუდ ჯგუფი" ვახაუზი "ბანკ ტრანსპლანტის" საინვესტიციო ჯგუფმა დააფუძნა. როგორც პრაიმ-ნიუსს საინვესტიციო ჯგუფის წარმომადგენელმა ირა მარტიყელმა აცნობა, ყაზახ ინვესტიორთა ჯგუფი აჭარაში ტ







# მსოფლიოს ჩემპიონატმა ქარი ახადა

## ბიბა ბარსაშვილი

სამი დღის განმავლობაში მოსკოველები მძლეოსნათა ჭერქვეშა მსოფლიოს ჩემპიონატით იტყვიან თავს. მასპინძლებისთვის რომ ადვილია შინ ასპარეზობა, საკმაოდ არ არის, მით უფრო, თუ ეს მასპინძლები მსოფლიო ელიტაში შედიან. ასე რომ, რუსთა პირველობა კინოზომიერიც იყო და მოსალოდნელიც, ამ რანგის წინა ჩემპიონატზეც, ბუდაპეშტში, მოწინავე პოზიცია დაიკავეს. თუმცა, ჭერქვეშა მსოფლიოს ჩემპიონატები ისეთი პოპულარობით არ სარგებლობს, როგორც ზაფხულის, რისი დასტურიცაა ის, რომ ზამთრის პირველობებზე მჭიდროდ სხვები კანტიკულად იმის.

ასეა თუ ისე, მოსკოვის მე-11 მსოფლიოს ჩემპიონატი რუსთა უპირატესობით წარინართა. მასპინძლებმა პირველი ადგილი დაიკავეს როგორც მოპოვებული ჯილდოების - 8-5-5, ისე ოქროს მედლების რაოდენობის მხრივ. მეორე ადგილზე გავიდა აშშ-ის ნაკრები - 7-4-2, მესამე ადგილი გაიყვანა ეთიოპიამ და უკრაინამ - 2-0-0.

რუსეთის ნაკრების მიერ მოპოვებული 8 ოქროს მედლიდან 7 ქალებზე მოდის. ვაჭებიდან ერთადერთ ოქროს იარაღსაც რიბაკოვი დაუფლავა (სიმძლეზე ხტობა).

მასპინძელთა ნაკრებისთვის ყველაზე დიდი იმედგაცრუება 800 მეტ-



კენენისა ბეკელემ ჭერქვეშა ოქროს დააგემოვნა

რზე ფინალური გარბენი გამოდგა. ათენის ოლიმპიური ჩემპიონი ოური ბორზაკოვი, რომელიც დამაჯერებლად მიიწვია ნინი, ტაქტიკაში პატარა შეცდომა დაუშვა, რითაც, ბუნებრივია, ისარგებლეს მისმა კონკურენტებმა, კენიელმა ვილფრედ ბუჩეკიმ და საბურთაველიელმა მუსულანი მულაძემ, რომლებიც, შესაბამისად,

პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს. ბორზაკოვს ბრინჯაოს მედალი გადაეცა.

ჩემპიონატის მოულოდნელობად უნდა ჩაითვალოს ამერიკელი შეიდეგელის ბრაიან კლეის ნარეზობა, რომელიც, პორზაკოვის მსგავსად, ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ ბოლო სახეობაში - 1000 მეტ-

რზე რბენაში იწვინა მარცხი (მეოთხე შედეგი ჰქონდა, მთლიანობაში კი მეორე ადგილი დაასრულა ჩემპიონატით). და ფხვნილიც მდევარ გერმანელ ანდრე ნიკლაუსს გადაულოცა ჩემპიონის ტიტული.

ორივე სიტყვით იმაზე, ვინც ჭერქვეშა მსოფლიოს ჩემპიონატს საკუთარი გაოსვლით ინტერესი შე-

მატეს და ლოგიკურ გამარჯვებამდე მივიდნენ. მათ შორის, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია საშუალო მანძილების დედაფილი მოზამბიკელი მარია მუტოლა, რომელიც 800 მეტრზე რბენაში გამარჯვებით მემკვიდრე დაუფლავა ჭერქვეშა მსოფლიოს ჩემპიონის ჯილდოს. 33 წლის მოზამბიკელი იმითაცაა საყურადღებო, რომ ჭერქვეშა ჩემპიონატებზე აშდენ ოქროს დღემდე არავინ დაუფლავია.

“ჩემი მეგობრები ტიტული რაღაც განსაკუთრებულია, თუმცა იოლიც არ ყოფილა”, - ტრიუმფალური რბენის შემდეგ თქვა მუტოლამ, რომელმაც პირველ ასეთ წარმატებას 1993 წელს ტორინტოს მსოფლიოს ჩემპიონატზე მიაღწია.

ელენა ისინბაევაც იმათ რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც ჩემპიონობას და მსოფლიო რეკორდს უკლადენ. ამჯერად რუსი ჭოკით მხტომელი მხოლოდ ჩემპიონობას დასჯერდა. თუმცა, წინასწარ მიგვანიშნებდა, მაინცდამაინც მსოფლიო რეკორდზე ვუგამახვილებთ ყურადღებას, ჩემპიონობას კი ვაპირებო. გახდა კიდევ.

ვათა შორის ყურადღების ცენტრში მოექცა გრძელი მანძილების მფეე ეთიოპიელი კენენისა ბეკელი, რომელმაც ამჯერად მანძილი დაამოკლა და 3 000 მეტრზე რბენაში პირველ ჭერქვეშა ჩემპიონობას გამოჰკრა ხელი. ეთიოპიელის ყულაბაში 10 ათას მეტრზე რბენაში ათენის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ოქროს ბიჯ მხრიალებს.



## დავით კოვზირიძის სკატი

### აიკიდოვა დახვრობილი ფხხუართი

სანამ მთავარ თემაზე გადავალ, მინდა კიდევ ერთხელ დაეუკრა ტაში ქართველ მორაგებებს და არსებობის განმავლობაში ერთ-ერთი უღამაზესი და უძძლავრესი გამარჯვება მიუფლავო. მგონი ის დროც მოვიდა, რომ თამბასა ოდნავ ავნიოთ და მსოფლიოს ჩემპიონატის ერთი მატჩის მოგებაზე დავინწყით ფიქრი და მუშაობა. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თავი ავავივარდა გამოებივით, არა, უბრალოდ საქართველოს ნაკრებს აშკარად ეტყობა - მას აქვს იმხელა ენერჯია, გამოცდილება და კლასი, რომ ბევრად მეტი გააკეთოს. აქვე ბარემ იმასაც ავხსნი, თუ რატომ არ ვაქცევ დიდ ყურადღებას რაგბის და რატომ ვუთმობ ჩემი სვეტის მხოლოდ მოუცქენულ ნაწილს ჩვენი ჯიგრების ვებერთელა გამარჯვებებს - მე არ მესმის რაგბი იმდენად, რამდენადაც წერისთვისაა საჭირო. ასეთ შემთხვევაში კი ემოციებით შემოფარგვლა სჯობს.

### ფხხუართი

## სისინო: "მუნდიალზე წასვლის იმედო ბაქს"

სისინო აღიარებს, რომ თანაგუნდელები გვერდში უდგანან და ყოველ-მხრივ უადვილებენ მას მადრიდის "რეალში" ადაპტაციას.

**- შენ ძირითად შემადგენლობაში ადვილი დაიმკვიდრე, მაგრამ ტრავმა მოიშუშა მიჩელ სალაგადომ. მზა ხარ სათადარიგოთა სკამზე დასაჯდომად?**

- აქ იმისთვის მოვედი, რომ გუნდს დავეხმარო და სწორედ ამას ვაკეთებ. საუბედუროდ შემადგენლობაში სალაგადომს ტრავმის შემდეგ მოგვხვდა, მაგრამ ჩვენ ყველა გუნდის ნაწილი ვართ და მისთვის ვიღვით.

**- გაქვს იმედი, რომ თამაშს გააგრძელებ?**

- ფეხბურთელი ყოველთვის იმის იმედით მუშაობს, რომ ძირითად შემადგენლობაში მოხვდება. თუმცა, თუ არ ვითამაშებ ამის გამო არ ვაგვიბრძობები. ხოლო, თუ მინდორზე ვამოსვლა მომიწევს ისევე კარგად ვითამაშებ, როგორც აქამდე ვითამაშობდი.

**- ლოპეს კაოსის მისონის შენი შეტევებში ჩართვები, მაგრამ ამავე დროს დაცვაზეც უნდა იღვანო. მწვრთნელი ამ თემაზე გესაუბრა?**

- ის ყოველთვის გვესაუბრება. ვასულ კვირას მას ჩემთან პირადად არ უსაუბრია, მაგრამ ამ თემას გუნდის საერთო შეკრებებზე ხაზი გაუსვა.

**- მადრიდის "რეალის" გულშემა-**

**ტიკერებმა ძალიან კარგად მიგიღეს. ხალხი ქუჩაში რას გუუხვება?**

- პო, ინჩასამ კარგად მიმიღო. რამდენიმე დღის წინაა, როცა სამედიცინო შემოწმებას გავადიდი, ქომაგებმა მიცნეს და ავტოგრაფი მომიხვეს. ვიწვედი და ვთქვა, რომ თამაშს ასევე კარგად ვაგრძელებ იმისთვის, რომ გულშემატიკივარი ჩემი კვალი დარჩეს.

**- რომელმა პარტნიორმა მოახდინა შენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?**

- დიდ კლუბებში ყველა ძალიან კარგია და როცა აქ ჩამოვედი ამაში დავწმუნდი, მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, ალბათ გუტმირ და ზი-

დანმა მოახდინეს. კიდევ რომინომ და რა თქმა უნდა, რობერტო კარლოსმა.

**- მადრიდის "რეალში" თამაშს დაგეხმარება ბრაზილიის ნაკრებით-ან ერთად მუნდიალზე წასვლაში?**

- როცა "რეალთან" კონტრაქტს ხელი მოვაწერე ნაკრებში უკვე ვთამაშობდი და პარიერამ მომილოცა. მან ვითამაშებ მას ჩემი იმედი ექნება.

**- შენს თავს რობერტო კარლოსის შემცვლელად ხედავ?**

- მას რომ შევდარო ჯერ თავი ნუ-ლზე უნდა გადავიპარსო. შეიძლება დავწმუნდი, მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, ალბათ გუტმირ და ზი-

ჩემზე ტექნიკურიც არის. მას საკუთარ თავს ვერ შევდარებ. მას დიდი ქარიზმა აქვს.

**- შენ შეიძლება დაცვის მარცხი ნაკრებზე დაეცეო კარლოსის ნაცვლად ითამაშო?**

- რამდენჯერმე ამ პოზიციაზე მი-თამაშია, მაგრამ ამჟამად ეს გამორიცხულია, რადგან ჩვენ ბრწყინვალე ფეხბურთელები გვყავს, რომლებსაც აქ პოზიციაზე თამაში შეუძლიათ. ეს არა მხოლოდ რობერტო კარლოსი, არამედ რაულ ბრაუოც არის. ჩემი პო-ზიცია კი დაცვის მარჯვენა ფრთაა. თუმცა, თუ მწვრთნელი მოხოსს იქ ე-თამაშებ, სადაც მიმანიშნებს.

**საქართველოს ეროვნული ბანკი**  
**მსურველ იურიდიულ ან ფიზიკურ პირებს სთავაზობს 50%-იანი ფასდაკლებით შემდგომ მარაბ ნაწილ-ებს და მასსაქებს:**

1. გაზეთის ქალაქი 3397 კვ - 12 რულონი
2. პერფორირებული ქალაქი 240 მმ-იანი - 780 კვ
3. დეველოპერები, ქვერეკისი კარტიკები, ადაპტერები, ტონერები, ფოტობარაბანი, ვინჩესტერები და სხვა
4. HYUNDAI (ჰუნდაი) ავტოსათადარიგო ნაწილები
5. გაზ-24-ის ავტოსათადარიგო ნაწილები

ტელ: 44-23-95 ფაქსი: 98-20-33 , ელ.ფოსტა: ickhonia@nbg.gov.ge

**სამეურნეო საქმიანობის დეპარტამენტი**  
**გურამ ფიცხელაური**

**განცხადება**

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ საავტომობილო სანაგვის შემცნაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვება შპს "კანარო სტანდარტ ოილ პროდუქტ"-მა, კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვება შპს "ალგორითმ"-მა, ხოლო საიფის ავეჯის შექმნაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვება ინიფილდურმა მენარ-მე "მალხაზ შალამბერიძე"-მ. აღნიშნულ ფირმებთან დაიდო ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სა-ტენდერდერო კომისიის აპარატი

გაზეთი "24 საათის" 1 მარტის №43-ში გამოქვეყნებულ განცხადებაში ქალაქ თბილისის მერიის განათლე-ბისა და კულტურის საქალაქო სამსახურში ტენდერის ჩატარების შესახებ შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

- 1) მათათ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით: სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველების შეიძლება 200 (ორასი) ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრის წარმოდგენის შემდეგ. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა იწარმოებს 2006 წლის 1 მარტის 10 საათიდან 20 მარტის 10 საათამდე.
- 2) განცხადებას დაემატოს მე-12 პუნქტი: "უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ უცხო ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს თან უნდა ახლდეს სანოტარო წესით დამოწმებული შესაბამისი ქართულენოვანი თარგმანი".

**სამსახურის უფროსი ნატა მაჩალაძე**

ინფორმაცია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 14 მარტამდე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

- 1) გაზეთ "24 საათში"-ში 2005 წლის 3 ნოემბერს N244-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 143-ე კმ-ზე არსებული რიკითის საუღელტეხილო ს/გვირაბის მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "ლოქინი".
- 2) გაზეთ "24 საათში" 2005 წლის 12 დეკემბერს N279-ში გამოცხადებულ ორეტაპიან ტენდერში, რომელიც შეეხებოდა მდინარეთა პრევენციული გადაუდებელი ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების (ინტელექტუალური მომსახურება) შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "საპროექტო-ტექნოლოგიური ბიურო".
- 3) გაზეთ "24 საათში" 2006 წლის 11 იანვარს N3-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ქუთაისი-ზონი-სამტრედიის ს/გზის კმ24-კმ28 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "ჯ. და ჯ".
- 4) გაზეთ "24 საათში" 2006 წლის 12 იანვარს N4-ში გამოცხადებულ ორეტაპიან ტენდერში, რომელიც შეეხებოდა მდინარეთა კალაპოტების და ნაპირების გამაგრების სამუშაოებზე საჭირო საზუხადმხედველო მომსახურების (ინტელექტუალური მომსახურება) შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "გამომწვანოტეტი".
- 5) გაზეთ "24 საათში" 2006 წლის 11 იანვრის N3-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა სენაკი-ფოთი-სარფის ს/გზის კმ89-კმ96 ჩაქვი-მანჩინჯაურის მონაკვეთზე მდებარე ს/გვირაბის (საავტომობილო გზის ხელმარჯვნივ ექსპლატაციაში არსებული გვირაბის) მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "პირამიდა 99".

**სატენდერო კომისია.**

**osce**

**ეუთოს მისია საქართველოში აცხადებს ტენდერს**

**სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე თერჯოლაში, სენაკში, სოზოში და კასპში**

ტენდერი ითვისწინებს სამშენებლო, წყალმომარაგების, საკანალიზაციო, სავენტილაციო, გათბობა/კონდიციონერებისა და ელექტო სისტემების სარემონტო სამუშაოების განხორციელებას აღნიშნულ ადგილებში ევროპული სტანდარტების და ნორმების შესაბამისად. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს უნდა გააჩნდეთ სათანადო სახელმწიფო ლიცენზიები და დოკუმენტაცია. დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა მოითხოვონ სატენდერო მასალები შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

1. განაცხადი მონაწილეობის შესახებ (დაინტერესების წერილი).
2. კომპანიის მოკლე აღწერილობა.
3. აღნიშნულ განცხადებაში მითითებულ სფეროებში შესრულებული სამუშაოების მოკლე აღწერილობა.
4. აღნიშნული სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო სახელმწიფო ლიცენზიის ასლი.

წინამდებარე ინფორმაცია ინგლისურ ენაზე უნდა გაიგზავნოს მისამართზე, Elguja.Gujabidze@osce.org

*მომავალ სამშაბათამდე*



# ნიჩის დეზიუტი გერმანულ ფილმში

პირველი გერმანული

გადამწყვეტი დუელი ბიჭებსა და გოგონებს შორის ყველაზე ძლიერი საფეხბურთო გუნდის ტიტულის მოსაპოვებლად ფილმის კულმინაციაა. საერთოდ კი კინოფილმი ფეხბურთის პოპულარიზაციას ეხება.

სამი წელია, რაც ნიჩი ნილაუერი თავის მშობლებთან და 10 წლის ძმასთან ერთად გერმანიაში ცხოვრობს. მან თავიდანვე დიდი მიზანი დაისახა - გახდეს ცნობილი მსახიობი და მომღერალი. სხვადასხვა გერმანულენოვანმა არხებმა ის უკვე არაერთხელ მიიწვიეს თავიანთ გადაცემებში. მისი ტელედებიუტი კი გერმანიაში ჩასვლიდან ერთ წელნადში შედგა.

"საუბრობს ქართულად, გერმანულად, ინგლისურად, ფრანგულად, რუსულად და ცოტა უნგრულად. ასე რომ, საერთაშორისო მოუბიზნესის კარიერისთვის საუკეთესოდ არის აღჭურვილი. რა-

მდენიმე წელია ის ყოჩაღად მიიწვიეს ნიჩი ასრულოს თავისი ოცნება - გახდეს ცნობილი მომღერალი. ნიჩი მსახიობის კარიერაზეც ოცნებობს. თავისი დებიუტით ის მართლაც სწორ გზაზეა", - აღნიშნავს გერმანული მედია ნიჩის შესახებ.

თავად ფილმის რეჟისორი იოაკიმ მაზანეკი ნიჩის, ერთი მხრივ, შაკირას და, მეორე მხრივ, გასული საუკუნის 20-იანი წლებში კინოვარსკვლავებს ადარებს და დასძენს: "ნიჩიმ ჩვენს გადაღებულ ფილმში ხალისი და სიცოცხლე შემოიტანა".

რეჟისორის ასისტენტი პელმუტ ფულსი კი ნიჩისთან დაკავშირებით ისხენებს: "გამოგზავნილი ვიდეომასალებს შორის ნიჩის რეჟისორს უკვე მოგვხვდა თვალში, რადგან ის სცენაზე ძალიან თავისუფალი იყო. მოგვიანებით, როცა ნიჩი პირადად გავიცანი, მაშინვე მერაბ ნიჩიე გამახსენდა. ნიჩი მერაბივით ტემპერამენტით სავ-



ფილმში მონაწილე ბავშვები

სეა, რაც ძალიან მომწონს". პელმუტ ფულსი და მერაბ ნიჩი ერთად მუშაობდნენ გერმანულ ტელეფილმზე "ვარსკვლავები დღისითაც ანათებს". პელმუტი აქაც რეჟისორის ასისტენტი იყო, მერაბი კი მთავარ როლს ასრულებდა.

"ველური ბიჭები 3-ის" ლიგებულებამ, რომელშიც ცნობილი გერმანელი მსახიობი და მომღერალი უეი ოქსენგენტი, მისი და ასევე თავად ფილმის რეჟისორის შვილები მონაწილეობენ, 3,7 მილიონი ევრო შეადგინა. იოაკიმ მაზანეკი ფილმის მეოთხე ნაწილის გადაღებასაც აპირებს, თუმცა, კონკრეტულ შინაარსზე ჯერ არ საუბრობს.

"თუ ყველაფერი ისე განვითარდება, როგორც ჩვენ გვუკავს დეგემილო, მაშინ ნიჩის დიდ წარმატებებს უახლოვს 6 თვეში უნდა ველოდოთ, - ამბობს ნიჩის დედა იზა კახიანი, რომელიც აწვდომულად პატარა ხელოვანის მენეჯერიცაა.



## 14 მარტი

**თეატრი**

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**  
"პიესა ათ ინტიმურ აქტად"  
რეჟისორი ოთარ ეგაძე  
დასაწყისი: 19 სთ.

**თავისუფალი თეატრი**  
დათო ტურაშვილი  
"ჯინების თაობა"  
რეჟისორი დავით დოლიაშვილი  
დასაწყისი: 19 სთ.

**კინო**

**"ამირანი"**  
"სიყვარული დიდ ქალაქში"  
დასაწყისი: 14.00; 18.00; 20.00; 22.00;

**"რუსთაველი"**  
"ოპერაცია ნითელიქუდა"  
დასაწყისი: 12.00-18.00

**"შეჯახება"**  
დასაწყისი: 20.00; 22.15.

**"ახმეტელი"**  
"ოპერაცია ნითელიქუდა"  
დასაწყისი: 12.00; 13.30; 15.00

**"შეჯახება"**  
დასაწყისი: 16.30; 20.15.

**"მზიარული მძარცველები"**  
დასაწყისი: 18.30

**გალერეა**

**"პობი"**  
თანამედროვე ქართული მხატვრების შერეული გამოფენა

**"კოპალა"**  
ქართული ტექსტილის გამოფენა

**"ქარავასა"**  
პიერლუიჯი პრატურლონის ფოტოგამოფენა

# პირს ბროსნანი ახალი იმიჯით

გასულ კვირას ბრიტანეთში გამართა ბლოკბასტერად ჩაფიქრებული ფილმის "მატადორის" პრემიერა და კინოზღაპრის უკვე საბოლოოდ მოუხდა იმ ფაქტთან შეგუება, რომ პირს ბროსნანი და ჯეიმს ბონდი სხვადასხვა ცნებებია. ამერიკიდან ბონდი დენიელ კრეიგთან გაიგივდება - საზოგადოება ხომ იოლად იფიქრებს ძველს და იოლადვე ეგუება ახალ კინოსახეებს. თავად ბროსნანი კი რიზარდ შუპარდის შავი იუმორით გაჟღერებული კომედიამ ახალ სამსახიობო შესაძლებლობებს გამოამჟღავნა.

"მატადორში" პირს ბროსნანის ვიზუალური გარდასახვა მართლაც 100 პროცენტით შედგა. იან ფლეგინგის ქარიზმატული აგენტის როლის შესრულებისას ხომ მსახიობს არასდროს დასჭირვებია ფეხის ფრჩხილებზე ლაქის გადასმა, თინეჯერი გოგონასავით გამოწყობა, ანდა სასტუმროს ვესტიბულში ტრუსითა და კოვბოის ჩექმით სიარული. არასდროს დასჭირვებია, მაგრამ როცა ამის შანსი მიეცა, უარი არ თქვა. ნიუ იორკელი რეჟისორი აცხადებს: "პირს ძალიან უნდოდა, რამე ახალი შეტევა აეღო საკუთარ თავზე. მზად იყო თავისი კარიერაც გაერისკა. ფილმი რომ არ გამოგვევლიოდა, ის ალბათ ძალიან სასაცილო სანახვი იქნებოდა მაყურებლის თვალში. მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა.



პირს ბროსნანი ახალი იმიჯი იქნა

ბროსნანს ერთი შესანიშნავი თვისება აქვს - ის მზად არის ყველა გზა და ხერხი სცადოს". ამ ექსპერიმენტებში რეჟისორი გულისხმობს ერთ ეპიზოდსაც ფილმიდან - რომ მშვენიერი იდეა იყო, - დასეგმო პირს ბროსნანი იმ გოგონებთან არის გამოწყობილი,

რომლებიც კალაბურთისა თუ ფეხბურთის მატჩებზე მოედანთან დგანან და სიმღერითა და ცეკვით მოთამაშეებს ამხნევენ. "როცა იმის ერთ ეპიზოდსაც ფილმიდან რომ მშვენიერი იდეა იყო, - დასეგმო პირს ბროსნანი იმ გოგონებთან არის გამოწყობილი,

დაც ძალიან უყვარს რისკი და ექსპერიმენტები. მას ხომ თავიანთ "მატადორს" გადაღება 250 ათას დოლარად უნდოდა, მაგრამ შემდეგ საქმეში ბროსნანის ირლანდიური კინოკომპანია "დრიმილაინი" ჩართო და ფილმის ბიუჯეტი 10

**ეკა კვესიტაძე:** დღეს "დიალოგების" თემა საკმაოდ აპირატების დამონტაჟება. გადაცემის სტუმრები არიან კონსერვატიული პარტიის ლიდერი კობა და ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი. შედეგად თუ არა დიალოგი ხელისუფლებასთან?

**კობა დავითაშვილი:** შედეგად, რათა ზურაბ ნოღაიდელს ეთქვა, რომ დიალოგი არ შედეგება.

**ეკა კვესიტაძე:** ესე იგი, ხელი-სუფლებად არ არის დიალოგის მომხრე?

**კობა დავითაშვილი:** დიალოგის მომხრე, ერთადერთი, მიხეილ მაჭავარიანი, რადგან ხვდება, რომ დიალოგი აუცილებელია.

## ეკა და აქსია

თუმცა, როგორც ნოღაიდელმა გვითხრა, იმისთვის, რომ ხელი-სუფლებად დიალოგზე წამოვიდეს, აქციაზე უფრო მეტი ხალხი უნდა მოვიყვანოთ.

**ეკა კვესიტაძე:** როგორ აპირებთ ამის გაკეთებას?

**კობა დავითაშვილი:** აქციის თემატიკის გაფართოებით.

**ეკა კვესიტაძე:** რას დაუმატებთ?

**კობა დავითაშვილი:** რამდენადც ვიცი, საზოგადოება ითხოვს ნინასარჩევნო დამირებების შესრულებას.

**მსმენელი:** არსებობს თუ არა გამოსავალი?

**კობა დავითაშვილი:** გამოსავალი არის ჩვენს ქვეყანაში მრავალპარტიული დემოკრატიის დამყარება. ძალიან პრეტენზიული განცხადებაა, მაგრამ ეს აუცილებელია.

**ეკა კვესიტაძე:** საკმაოდ აპირატებით დახარალებული თუ არა ხალხი? შეიძლება თუ არა მილიონობით ადამიანი დარჩეს ულუკმაპუროდ?

**მიხეილ მაჭავარიანი:** პირიქით, მათ უმარტივედნენ მუშაობა.

**ეკა კვესიტაძე:** ბატონო კობა, რა არ ეთანხმებით?

**კობა დავითაშვილი:** არ ვეთანხმები იმიტომ, რომ არიან მოყაჩრეები, რომლებსაც არა აქვთ ბრუნვა ას ლარზე მეტი. მათთვის თვითონ აპარატის შექნა დიდი

## ბამაჯანსალეპალი ცენტრი

**ნაუტილუსი**

**გთავაზობთ:**

- ალმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რეაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

**გთავაზობთ:**

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრააბანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრააბანამედროვე გერმანული სამკურნალო აპარატები და ტალახები, SPA კაფესული
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და პირიზონალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78  
**ტელ:** 22 56 26  
23 56 26  
**E-mail:** info@nautilus.ge  
reception@nautilus.ge

**ეკა კვესიტაძე:** დიალოგი საზოგადოებასთან ნიშნავს თუ არა მცირე კომპრომისზე ნასვლას?

**მიხეილ მაჭავარიანი:** ჩვენ კომპრომისზე წავედით, მაგრამ ეს არ ნიშნავს ახალ აპარატების გაუქმებას, რადგან ხალხი რაღაც რეჟიმში უნდა ჩაჯდეს.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, მკობრების რეკონსტრუქციის და კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დანტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 პოზიციად (ლოტად):

1. შუბლაშვილების ქ. N23 მდებარე საინფორმაციო ცენტრის რეკონსტრუქცია და კაპიტალური შეკეთება;
2. აღმაშენებლის გამზ. N123 მდებარე სუბივილების სტუდიის რეკონსტრუქცია და კაპიტალური შეკეთება;

შესასრულებელი სამუშაოების მოკლე დახასიათება: არსებულ შენობებში ჩასატარებელი გამაგრებითი და მოსაპირკეთებელი სარემონტო სამუშაოები.

3. მიწოდების სავალდებულო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 1 სექტემბერი.
3. განაცხადი, სატენდერო ნინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოადგენდეს იქნას 2006 წლის 3 აპრილის 12 საათიდან 2006 წლის 3 აპრილის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას 1 შესახვევი N33, III-ე სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.
4. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

- ამონაწერი სამუშაოების რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტების შესახებ;
- ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეკვიზიტებისა ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკატრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ ( ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);
- ფიზიკური პირისათვის:**
- ცნობა შესახებ უფლებამოსილი სამედიცინო დანტერესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკატრების საქმის წარმოება;
- როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული არ მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მონაწილეობის შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ -ტექნიკური ბაზის შესახებ.
- 5. თუ პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალი-

ფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებამდე დადგამდე.

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანო-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-რულოვრის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგობის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 14 მარტიდან 31 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას 1 შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

